წაიღე ჩემი ეს ორი სანდალი და ვისაც შეხვდები ამ კედლის უკან და ვინც გულწრფელად დაამოწმებს, რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, უმახარობლე მას სამოთხე»,

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს: ჩვენ ერთ დღეს ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ირგვლი ვისხედით, ჩვენთან ერთად იყო აბუ ბაქრი, უმარი და კიდევ რამოდენიმე ადამიანი. უეცრად ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) წამოდგა, წავიდა და თვალს მიეფარა, ჩვენ ვინერვიულეთ რომ მას არაფერი მოსვლოდა ჩვენს გარეშე, შეგვეშინდა და მის საძებნელად წავედით, პირველი ვისაც შეეშინდა მე ვიყავი და წავედი ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოსაძებნად, მის ძებნაში მივადექი ანსართაგან ნაჯარის ტომის ბაღის კედელს, მას ირგვლივ შემოვუარე, ვეძებდი შესასვლელ კარებს, და ვერ ვიპოვე, ამ დროს შევამჩნიე პატარა წყლის არხი, რომელიც შედიოდა კედელში გარეთ მდებარე ჭიდან, შევძვერი და შევედი ალლაჰის შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და მან მითხრა: «აბუ ჰურაირა», მე ვუთხარი: "დიახ, ალლაჰის შუამავალო", თქვა: «რას აკეთებ?», მე ვუთხარი: "შენ ჩვენთან ერთად იჯექი, შემდეგ უეცრად წამოდექი და თვალს მიეფარე, ჩვენ ვინერვიულეთ და შეგვეშინდა, რომ რაიმე არ მოგსვლოდა ჩვენს გარეშე, პირველი ვისაც შეეშინდა მე ვიყავი, შემდეგ შენს ძებნაში ამ კედელს მოვადექი, მასში არსებულ წყლის არხში, როგორც მელია ისე შემოვძვერი, ხალხი ვინც ჩვენთან ერთად იყო ჩემს უკან მოდიან", მან თქვა: «ო აბუ ჰურაირა», და მომაწოდა თავისი ფეხსაცმელები და თქვა: «წაიღე ჩემი ეს ორი სანდალი და ვისაც შეხვდები ამ კედლის უკან და ვინც გულწრფელად დაამოწმებს, რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, უმახარობლე მას სამოთხე», პირველი ვისაც შემოვხვდი უმარი იყო, მან თქვა: "ო აბუ ჰურაირა რა არის ეს ორი სანდალი, რომელიც გაქვს?" მე ვუთხარი: "ეს ორი სანდალი ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ფეხსაცმელებია, მან მომცა ესენი და თან მითხრა, რომ ვინც შემოგხვდებოდა პირველი და ვინც დაამოწმებდა გულით, რომ არ არსებოს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მისთვის მემახარობლებინა სამოთხე", ამ დროს უმარმა მკერდზე ხელი დამარტყა და ზურგით(საჯდომით) დავეცი მიწაზე, და მითხრა: "უკან დაბრუნდი აბუ ჰურაირა", მეც უკან წავედი ალლაჰის შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და შვიდობა მას), მე ძლიერ ვტიროდი, უმარი უკან კვალდაკვალ მომყვებოდა. ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ო აბუ ჰურაირა რა მოგივიდა?» მე ვუთხარი: "მე შემომხვდა უმარი და მას ის ვუთხარი, რითიც შენ წარმგზავნე, მან კი ისე ძლიერ დამარტყა მკერდზე, რომ ზურგით დავეცი და მითხრა რომ უკან დავბრუნებულიყავი". ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ო უმარ, რამ გიბიძგა იმისკენ, რაც გააკეთე?» თქვა: "ო ალლაჰის შუამავალო, ჩემი დედა და მამა გენაცვალოს შენ, შენ ნამდვილად გამოგზავნე აბუ ჰურაირა შენი ფეხსაცმელებით, ვისაც შემოხვდებოდა და ვინც გულით დაამოწმებდა, რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, რომ მისთვის სამოთხე ემახარობლებინა?" მან თქვა: «დიახ» უმარმა თქვა: "არ გააკეთო ეს, ჭეშმარიტად მე მეშინია,

რომ ხალხი მხოლოდ ამის იმედად დარჩება, ვაცადოთ აკეთონ კეთილი საქმეები", ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მაშ აცადეთ».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ერთ დღეს შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიობა მას) იჯდა საჰაბებთან ერთად ერთ საზოგადოებაში, სადაც თან აბუ ბაქრი და უმარიც იმყოფებოდენ, შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) წამოდგა და წავიდა. მათ შეეშინდათ, რომ რაიმე ცუდი არ შემთხვევოდა მას მტრების ხელით; ან ხელში არ ჩაუვარდეთ ტყვედ ან სხვა რაიმე არ დაეშავებინათ მისთვის. საჰაბები (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) შეშინებულები წამოდგნენ, მათ შორის ყველაზე პირველს აბუ ჰურეირას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) შეეშინდა, მის საძებნელად წავიდა და მიადგა ნაჯარის გვარის წარმომადგენლების ბაღის კედელს, დაიწყო მის ირგვლივ შემოვლა იმ იმედით, რომ მასში შესასვლელ ღია კარებს იპოვნიდა, მაგრამ ვერ იპოვა, მაგრამ მან კედლის ერთ მხარეს იპოვა პატარა ღია არხი, რომლიდანაც კედელში წყალი შედიოდა, ის მოიღუშა და შეძვრა ამ არხიდან, მან იპოვა შაუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და ჰკითხა: შენ ხარ აბუ ჰურაირა? თქვა: დიახ. უთხრა: აქ რამ მოგიყვანა? აბუ ჰურაირამ თქვა: შენ ჩვენთან ერთად იჯექი, შემდეგ უეცრად წამოდექი და თვალს მიეფარე, ჩვენ ვინერვიულეთ და შეგვეშინდა, რომ რაიმე არ მოგსვლოდა ჩვენს გარეშე, პირველი ვისაც შეეშინდა მე ვიყავი, შემდეგ შენს ძებნაში ამ კედელს მოვადექი, მასში არსებული წყლის არხში როგორც მელია ისე შემოვძვერი, ხალხი ვინც ჩვენთან ერთად იყო ჩემს უკან მოდიან. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მას მისცა თავისი ფეხსაცმელები იმის ნიშნად და დასტურად, რომ ის სიმართლეს ამბობდა, და უთხრა მას: წაიღე ჩემი ეს ორი ფეხსაცმელი და ვისაც შეხვდები ამ კედლის უკან და ვინც გულწრფელად დაამოწმებს, რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, არ არის ღირსეული სათაყვანებელი გარდა ალლაჰისა, ვინც გამოირჩევა ამ თვისებით ის არის სამოთხის ხალხთაგან. პირველი ვისაც შემოვხვდი უმარი იყო, მან თქვა: ო აბუ ჰურაირა, რა არის ეს ორი ფეხსაცმელი რომელიც შენ გაქვს? მე ვუთხარი: ეს ორი ფეხსაცმელი ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ფეხსაცმელებია, მან მომცა ეს ფეხსაცმელები და თან მითხრა, რომ ვინც შემოგხდებოდა პირველი და ვინც ამოწმებდა გულით, რომ არ არსებოს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მისთვის მემახარობლებინა სამოთხე. ამ დროს უმარმა მკერდზე ხელი დაარტყა და აბუ ჰურაირა ზურგით დაეცა, და უთხრა: უკან დაბრუნდი აბუ ჰურაირა, მეც უკან წავედი ალლაჰის შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შეშინებული, სახეშეცვლილი და ნამტირალევი, უმარი უკან კვალდაკვალ მომყვებოდა. ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: ო აბუ ჰურაირა, რა მოგივიდა? მე ვუთხარი: მე შემომხვდა უმარი და მას ის ვუთხარი, რითიც შენ წარმგზავნე, მან კი ისე ძლიერ დამარტყა მკერდზე, რომ ზურგით დავეცი და მითხრა რომ უკან დავბრუნებულიყავი. ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: ო უმარ, რამ გიბიძგა იმისკენ, რაც ჩაიდინე? უმარმა თქვა: ო ალლაჰის შუამავალო, ჩემი დედა და მამა გენაცვალოს შენ, შენ ნამდვილად გამოგზავნე აბუ ჰურაირა შენი ფეხსაცმელებით, ვისაც შემოხვდებოდა და ვინც გულით ამოწმებდა, რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, რომ მისთვის სამოთხე ემახარობლებინა? თქვა: დიახ. უმარმა თქვა: არ გააკეთო ეს, მე მეშინია რომ ხალხი მხოლოდ ამის თქმის იმედად დარჩება, და საქმეს (ღვთისმსახურებას) აღარ გააკეთებს, ვაცადოთ აკეთონ საქმე. ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: თუ ეგრეა, მაშ აცადეთ.